თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3672045

ნომერი: AR1553380

თარიღი : 30.10.2017

გაცემის თარიღი : 12.11.2017

გაცნობის თარიღი : 12.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ახალი ხეივნის ქუჩა N12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიანა ჩივაძე პ/ნ 35001073248
- რუსთავი XVII მ/რ კორ. 19 ბ. 42

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1553380 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ახალი ხეივნის ქ. #12-ში, #01.18.05.008.194 საკადასტრო ერთეულზე არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე დაშენებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 14 სექტემბრის #2185510 ბრძანებით ქ. თბილისში, ახალი ხეივნის ქ. #12-ში, #01.18.05.008.194 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2016 წლის 16 სექტემბრის #2830781 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2015 წლის 14 სექტემბრის #2185510 ბრძანებაში, კერძოდ: მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით.

2017 წლის 31 აგვისტოს #3499421 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2016 წლის 16 სექტემბრის #2830781 ბრძანებაში, კერძოდ, მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ახალი ხეივნის ქ. #12-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) ამ ეტაპზე სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.